



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 11 2021 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

ნანა ყუფუნია – შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი – საბჭოს თავმჯდომარე;

შორენა ჯაფარიძე – პროფესიული განათლების ექსპერტი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მარიამ ჩაგელიშვილი – გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი;

ნინო ველთაური – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი;

გიორგი ხიშტოვანი – ა(ა)იპ – პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი მიმართულების დირექტორი;

დეა აბულაძე – სსიპ – ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის – „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ – პროგრამული განვითარების კოორდინატორი;

მარიამ ქუჭულორია – ა(ა)იპ – ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;

სერგო ნოზაძე – ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის პრეზიდენტი;

რუსუდან გიგაშვილი – ა(ა)იპ – აგრო დუოს თავმჯდომარე;

ნინო კაკულია – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში ინვესტორებთან ურთიერთობის მთავარი მენეჯერი;

ქრისტინა რზგოევა – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;

ნატალია კვაჭანტირაძე – საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე;

მაგდა ბოლოთაშვილი – სსკ – საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე – საბჭოს მდივანი.

გიორგი გახარია